



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 188/ს
28/04/2023

188-21-4-202304281450



ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ზღვის პროდუქტების“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ზღვის პროდუქტების“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ზღვის პროდუქტების“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2022 წლის 13 აპრილს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №070034 ოქმი. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 11 ივლისს ანალოგიური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მეორე №071791 ოქმი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ზღვის პროდუქტების“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმო და ნავთობპროდუქტების საცავი მოწყობილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 45.08.25.149 და 45.08.25.180; საერთო ფართობი: 26065 მ²), რომლებსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: X-228795.00; Y-4674975.00. საპროექტო ტერიტორიას, ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. რიონი, საიდანაც ხდება ქვიშის მოპოვება. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 440 მ-ით, ხოლო უშუალოდ ქვიშის საცერის განთავსების წერტილიდან - 470 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 350 მ-ში განთავსებულია შპს „ეგრისი +“-ის, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 190 მეტრში ფიქსირდება სახელმწიფო ტყე.

სამხრეთ-დასავლეთით ობიექტს ესაზღვრება სენაკი-ფოთი-სარფის ცენტრალური საავტომობილო გზა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ობიექტის ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურა აერთიანებს ელ. ენერჯიაზე მომუშავე ქვიშამწოვს (სიმძლავრე 450 კვტ, წარმადობა 800 მ³/სთ), საცერს და ორ ერთეულ სალექარს (4585 მ³ და 2652.5 მ³). საწარმოს ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია 1 ერთეული 5 მ³ მოცულობის დიზელის მიწისზედა ავზი, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სპეცტექნიკის (ექსკავატორები) საწვავით მომარაგებისათვის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების პროცესი იწყება გაცემული ლიცენზიის ფარგლებში 800 მ³/სთ წარმადობის ქვიშამწოვის საშუალებით მდ. რიონიდან ქვიშის მოპოვებით. მოპოვებული ქვიშა, 200 მ სიგრძის და 300 მმ დიამეტრის მქონე მილის საშუალებით, გადაიტვირთება საცერზე. გაცერის შედეგად მიღებული მასა (ქვიშა-წყალი) გროვდება სალექარებში, სადაც ყოვნდება ორი დღის განმავლობაში და წყლისგან დაცლისა და დაშრობის შემდგომ, პირდაპირ იტვირთება შესაბამის ავტოტრანსპორტზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ობიექტზე ქვიშის დროებით დასაწყობება გათვალისწინებული არ არის. საწარმოში ქვიშის მოპოვება გათვალისწინებულია წელიწადში 75 დღის განმავლობაში, დღეში 6400 მ³ მოცულობით, საიდანაც 1920 მ³ შეადგენს ქვიშა, ხოლო 4480 მ³-ს - წყალი. შესაბამისად, წლის განმავლობაში ობიექტზე ხორციელდება 144000 მ³ ქვიშის გაცრა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ობიექტებიდან ინერტული მასალების (ქვიშის) გასატანად გამოყენებული იქნება შიდა გზა, რომელიც უკავშირდება ცენტრალურ საავტომობილო გზას და აღნიშნული მარშრუტი არ გადის დასახლებულ პუნქტებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილირებული სახით. ქვიშამწოვიდან ქვიშასთან ერთად ამოღებული წყლის მოცულობა შეადგენს წელიწადში 336 000 მ³-ს, რომელიც სალექარში მექანიკური დალექვის შემდგომ, 500 მმ დიამეტრის მქონე მილის საშუალებით მიეწოდება თითოეული სალექარის ზემო ნაწილზე მოწყობილ წყალგამყვან არხს და ჩაედინება მდ. რიონში. წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატებია: X-724353.08; X-4673337.94 და X-7244423.02; X-4673270.32. მდ. რიონში ჩაშვებული ჩამდინარე წყლის კონცენტრაცია არ აჭარბებს 60 მგ/ლ-ს. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომლის დაცლაც ხორციელდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, არხების საშუალებით იკრიბება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარებში, საიდანაც ჩაედინება მდ. რიონში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული 5 მ³ დიზელის საწვავის ავზი აღჭურვილია სასუნთქი სარქველით, (სიგრძეა 1.8 მ, დიამეტრი 0.2 მ) და 1 საწვავის ჩამსხმელი ე.წ. „პისტოლეტით“. დოკუმენტის თანახმად, სანიაღვრე წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია გადაიხურება და მობეტონდება. ამასთან, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტის შესაკრებად მოწყობა შესაბამისი არხები, რომლებიც დაერთებული იქნება მიწისქვეშა ავზთან (სავარაუდო მოცულობა 30-40 ლიტრი). კომპანიის სპეცტექნიკის საწვავით მომარაგებისთვის გათვალისწინებულია წელიწადში 36 მ³ დიზელის გამოყენება. ნავთობპროდუქტების საცავის შევსება მოხდება ავტოცისტერნის საშუალებით, წელიწადში დაახლოებით 7-ჯერ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საწარმოს ექსპლუატაციით ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს არაორგანული მტვერი და ნაჯერი ნახშირწყალბადები (C₁₂-C₁₉). სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების სველი გრავიტაციული მეთოდის და ნავთობპროდუქტების საცავის მცირე წარმადობის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, რომელთა ხმაურის დონე თითოეული მათგანისთვის არ აღემატება 90 დბა-ს. დოკუმენტში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით, ხმაურის დონე საწარმოდან 200 მეტრში ნორმაზე ნაკლებია. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის დონე, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად. არასახიფათო ნარჩენების გატანა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე გადამამუშავებული ნედლეული უნარჩუნოდ გადადის პროდუქციაში, შესაბამისად, საწარმოო პროცესიდან ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 350 მ-ში განთავსებულია შპს „ეგრისი +“-ის, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირების პირობებში მოსალოდნელი გაფრქვევების ინტენსივობები (გათვლები განხორციელდა იმ შემთხვევისთვის, როცა ერთდროულად აფრქვევს ყველა გაფრქვევის წყარო), რომლის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვერის მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, სადაც წარმოდგენილი არ არის მცენარეული საფარი. საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და დამატებითი მისასვლელი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ საპროექტო საწარმოს ადგილმდებარეობისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების ტექნოლოგიური ციკლის (სველი

გრავიტაციული მეთოდი) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.


გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ასევე II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 და ამავე დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ზღვის პროდუქტების“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ზღვის პროდუქტები“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზღვის პროდუქტებს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზღვის პროდუქტების“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო